



ვებგვერდი

03/04/2014

სარეგისტრაციო კოდი

330130000.35.152.016170

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6

2014 წელი 28 მარტი

ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველი კლასის შენობა-ნაგებობების განთავსება/მშენებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 23 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველი კლასის შენობა-ნაგებობების განთავსება/მშენებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 23 იანვრის N2 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 30/01/2013წ. ს/კ 330130000.35.152.016108) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველი კლასის დროებითი შენობა - ნაგებობების და შენობა-ნაგებობების განთავსება/მშენებლობის წესის დამტკიცების შესახებ“.

2. დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველი კლასის დროებითი შენობა - ნაგებობების და შენობა-ნაგებობების განთავსება/მშენებლობის წესი“.

ბ) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების (შემდგომში – მთავრობის დადგენილება) 65-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ, I კლასს

დაქვემდებარებულ დროებითი შენობა-ნაგებობათა და შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გარეშე, მთავრობის დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროკედურის დაცვით, შესაძლებელია დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გარდა ამ წესის მე-2 მუხლით განსაზღვრული ტერიტორიებისა, თუ საქართველოს კანონმდებლობით და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა დადგენილებით კონკრეტულ ტერიტორიაზე აკრძალული ან შეზღუდული არ არის, დროებითი შენობა-ნაგებობათა და შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობა.“

მუხლი 2.

ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ცარო სამაგლიშვილი

